ზოგადი აღწერა

შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ „პროგრესში“, ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის ფარგლებში, ფუნქციონირებს დებატების კლუბი.

იგი განკუთვნილია ორი ასაკობრივი კატეგორიისათვის: VII-VIII და IX-XII კლასის მოსწავლეებისათვის.

კლუბის საქმიანობას წარმართავს კლუბის ხელმძღვანელი, არაფორმალური განათლების სამსახურის მენეჯერთან თანამშრომლობით.

კლუბის შეხვედრები, თითოეული ასაკობრივი კატეგორიისათვის, იმართება კვირაში ერთხელ, გარდა არდადეგების პერიოდისა. ჩემპიონატებისა და სხვადასხვა პროექტისათვის მომზადების დროს კი - საჭიროებისამებრ.

კლუბის წევრები დებატობენ მასწავლების მიერ შეთავაზებულ ან/და მათ მიერ არჩეულ რეზოლუციაზე.

სადებატო თემა ანუ რეზოლუცია:

- ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მოკლედ და ადვილად აღსაქმელი ენით.
- არის საკამათო და იძლევა ურთიერთგამომრიცხავი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთების შესაძლებელობას.
- ჩამოყალიბებულია მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად.
- ეხება მოსწავლეებისთვის საინტერესო და აქტუალურ თემას/პრობლემას.
- დაკავშირებულია ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე აქტიუალურ საკითხებთან.

კლუბის წევრები, ძირითადად, დებატობენ კარლ პოპერის სტილით. თუმცა შეისწავლიან და პრაქტიკაში იყენებენ: ბრიტნული (საპარლამენტო) სტილის, მაიკლ დუგლასისა და სხვა სტილის დებატებს.

კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია.

მიზნები:

დებატების კლუბის მიზანია მოსწავლეებს დაეხმაროს **შემდეგი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში:**

- კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება
- ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობა
- ეფექტიანი კითხვა-პასუხის წარმართვა
- პრეზენტაცია
- საჯარო გამოსვლა
- მოსმენის კულტურა
- გუნდური მუშაობა
- თანამშრომლობა
- ორგანიზებულობა.

დებატებში მონაწილეობით ახალგაზრდები სწავლობენ:

- მცირე დროში დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებას
- სასაუბრო დროის რაციონალურად გამოყენებას
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას
- საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვას
- განსხვავებული აზრის პატივისცემას
- საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენას.

დებატების კლუბის წევრები სისტემატურად მონაწილეობენ შიდა სასკოლო და რესპუბლიკურ ჩემპიონატებსა და კონკურსებში. შიდა

სასკოლო პროექტები იგეგმება წინა წლის/სემესტრის გამოცდილების, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და სკოლის საერთო ხედვის გათვალისწინებით.

კლუბის საქმიანობა ასახულია სემესტრულ/წლიურ სამოქმედო გეგმასა და წლიურ ანგარიშებში.